საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ქვაში ნაკვეთი ქალაქი პეტრა

პეტრა ქვაში გამოკვეთილი უძველესი არქეოლოგიურ-ისტორიული ქალაქია. წყაროების მიხედვით, იგი ნაბატეის სამეფოს დედაქალაქი იყო და დაარსდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 312 წელს. დღეს პეტრა იორდანიას ეკუთვნის, ამ ქვეყნის სიმბოლო და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არქეოლოგიური ძეგლია. ქალაქი 1985 წლიდან იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაშია შეტანილი. 2007 წელს კი იგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ახალ საოცრებად აღიარეს.

ქალაქი მდებარეობს არავეის ვაკეზე, სიკის კანიონში ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე. ვაკემდე მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო ხეობით, რადგან ქალაქს გარს ერტყმის სალი კლდეები, რომლებიც თავისებურ კედელს ქმნიან.

პეტრას განვითარებას მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეუწყო ხელი. კერძოდ, ქალაქი გაშენებული იყო ორი სავაჭრო-საქარავნო გზის გადაკვეთაზე. პირველი - წითელ ზღვას დამასკოსთან აერთებდა, მეორე - სპარსეთის ყურეს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან. მდებარეობასთან ერთად პეტრას წარმატებისა და სიმდიდრის გასაღები წყლის რესურსების სწორი კონტროლი გახდა.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ წყლის პრობლემის მოსაგვარებლად ქალაქის ახლოს გაშენებული იყო ხელოვნური ოაზისი. კლდეებში საგანგებოდ გამოკვეთილი ქვის არხებით მოედინებოდა წყალი, რომელიც წყალსაცავებში გროვდებოდა. პეტრაში წვიმის წყალსაც აგროვებდნენ. ამ წყლის წყალობით პეტრელები მოსავალს იღებდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სპარსეთის ყურიდან მომავალი ქარავნები, რომლებიც კვირაობით იტანჯებოდნენ უდაბნოს მკაცრ პირობებში, პეტრაში ითქვამდნენ სულს.

საუკუნეების განმავლობაში ვაჭრობას დიდი სიმდიდრე მოჰქონდა პეტრასთვის. მაგრამ მე-14 საუკუნეში, როცა რომაელებმა აღმოსავლეთისკენ საზღვაო გზები აღმოაჩინეს, სახმელეთო ვაჭრობა ჩაკვდა და პეტრა თანდათან დავიწყებას მიეცა.

LIVEWORKSHEETS

ქალაქის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ბიბლიურ ისტორიებთან. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „გამოსვლაში“ აღწერილი ადგილი, სადაც ეგვიპტიდან წამოსული ებრაელები გაჩერდნენ, სწორედ პეტრაა.

ქალაქ პეტრას საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს. ცენტრიდან კილომეტრებზე იშლება. აქ დღემდეა შემორჩენილი სხვადასხვა ეპოქის შენობები, საფლავები, აბანოები, თაღოვანი ჭიშკრები, სარიტუალო დარბაზები, თეატრები, მონასტრები...

მთავარი ქუჩა რომაელების ბატონობის დროს გაიყვანეს. ქუჩის ბოლო, დასავლეთით, დიდ ტაძართან მიდიოდა, ხოლო აღმოსავლეთით ტრიუმფალური თაღით მთავრდებოდა.

კლდეში გამოკვეთილი უზარმაზარი მონასტერი **ედ-დეირი** სიგანით დაახლოებით 50 მ და სიმაღლით 45 მ-ია. კედლებზე ამოტვიფრული ჯვრები იმას მოწმობს, რომ ოდესღაც ტაძარი ქრისტიანული იყო.

ქვიშაქვაში ნაკვეთი, ბერძნული კულტურის გავლენით დამშვენებული სამარხი **„საგანძური“**, პეტრას სიმბოლოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „საგანძურის“ ფასადი. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება ულამაზესი ლანდშაფტები, კანიონები, წითელი მთები.

ახალი წელთაღრიცხვით 363 წლის მიწისძვრამ ქალაქის უმშვენიერესი ნაგებობები დაანგრია. ხოლო 551 წელს მომხდარმა კიდევ ერთმა ძლიერმა მიწისძვრამ მთლიანად გააუკაცურა პეტრა, რადგან საბოლოოდ მოიშალა წყალმომარაგების სისტემა.

პეტრა დაახლოებით 600 წლის განმავლობაში ევროპელთათვის დაკარგულად ითვლებოდა. ის 1812 წელს შვეიცარიელმა მკვლევარმა იოჰან ლუდგვიგ ბორხარდტმა აღმოაჩინა. ახალგაზრდა მკვლევარი რამდენიმე წელი სირიაში ცხოვრობდა. სირიაში მან შეისწავლა არაბული ენა და ყურანი. ადგილობრივებმა კლდეში გამოკვეთილი უძველესი ქალაქის შესახებ უამბეს. იქ, მათი რწმენით, აარონი, მოსეს ძმა იყო დასაფლავებული. ბორხარდტმა ვითომდა აარონისთვის პატივის მისაგებად და მსხვერპლის შესაწირავად, ადგილობრივებს სთხოვა ქალაქში წაეყვანათ. ასე მოიპოვა მან პეტრაში შესვლის უფლება. მისი ჩანაწერები და შთაბეჭდილებები 1822 წელს გამოქვეყნდა. ამ პუბლიკაციის შემდეგ ქალაქისადმი ევროპელთა ინტერესი გაიზარდა. მალე უამრავი უცხოელი მოგზაური მიაწყდა ქალაქს.

LIVEWORKSHEETS

დღეს პეტრას სანახავად იორდანიას ყოველწიურად ნახევარ მილიონამდე ტურისტი სტუმრობს. ქალაქის დასათვალიერებლად მინიმუმ 4 ან 5 დღეა საჭირო.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რას ვიგებთ ტექსტის პირველი აბზაციდან?

ა) როდის აღიარეს პეტრა მსოფლიოს ახალ საოცრებად.
ბ) როდის დაარსდა ნაბატეის სამეფო.
გ) რომელი ძეგლით არის ქალაქი პოპულარული.

2. პეტრას განვითარება-გაძლიერება განაპირობა იმან, რომ ქალაქი:

ა) ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე გაშენდა.
ბ) სავაჭრო-საქარავნო გზების ცენტრში მდებარეობდა.
გ) საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული.

3. მდებარეობის გარდა, პეტრას გამდიდრებას ხელი შეუწყო:

ა) სავაჭრო-საქარავნო გზების მშენებლობამ.
ბ) სპარსეთიდან მომავალი ქარავნების კონტროლმა.
გ) წყალმომარაგების მოწესრიგებულმა სისტემამ.

4. რამ განაპირობა პეტრაში ვაჭრობის შეფერხება?

ა) ეგვიპტიდან ებრაელების წამოსვლამ.
ბ) საზღვაო გზების აღმოჩენამ.
გ) ძლიერმა დამანგრეველმა მიწისძვრამ.

5. რა ითვლება პეტრას სიმბოლოდ?

ა) კლდეში გამოკვეთილი მონასტერი ედ-დეირი.
ბ) ქალაქის ახლოს გაშენებული ოაზისი.
გ) ქვაქვიშაში ნაკვეთი სამარხი „საგანძური“.

LIVEWORKSHEETS

6. რა მეტყველებს იმაზე, რომ ედ-დეირი ქრისტიანული ტაძარი იყო?

ა) მას ბერძნული კულტურის გავლენა ეტყობა.

ბ) მისი სახელი უკავშირდება ბიბლიურ ისტორიას.

გ) მის კედლებზე ამოტვიფრულია ჯვრები.

7. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „ქალაქის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება ულამაზესი <u>ლანდშაფტები,</u> კანიონები, წითელი მთები“?

ა) სამარხები. ბ) ტაძრები. გ) ხედები.

8. რა არის ტექსტის ბოლოდან მეორე აბზაცის მთავარი ინფორმაცია?

ა) ბორხარდტმა სირიაში შეისწავლა არაბული და ყურანი.

ბ) პეტრა შვეიცარიელმა მკვლევარმა აღმოაჩინა მე-19 საუკუნეში.

გ) სირიელთა რწმენით, პეტრაში ბიბლიური მოსეს ძმა იყო დასაფლავებული.

LIVEWORKSHEETS